მდგრადი განვითარების გამოწვევები საქართველოს ქალაქებში (ქუთაისის მაგალითი)

ნიკო ჩიხლაძე
ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი,
ქუთაისის უნივერსიტეტი,
აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ნანა რუსაძე
საჯარო მმართველობის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი,
აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ანოტაცია
თანამედროვე სამყაროში ქალაქები გლობალური ცვლილებების კრიტიკული მამოძრავებელია. ისინი აწარმოებენ პროდუქციის, მოიხმარენ გლობალური რესურსებისა და ენერგიის უდიდეს ნაწილს. შესაბამისად, ისინი გარემოს დაბინძურების და ნახშირბადის ემისიების მაღალი ხვედრითი წილითაც გამოირჩევიან. გაეროს მდგრადი განვითარების მიზნების (SDGs) მისაღწევად ქალაქის მოქმედება გადამწყვეტია. SDG ლოკალიზაცია არ არის მარტივი პროცედურა, რამდენადაც ქალაქები ერთმანეთისაგან მრავალი პარამეტრით და შესაძლებლობებით განსხვავდებიან. ისინი, განვითარების უთანაბრობასთან ერთად, მდგრადობის განსხვავებულ ხარისხსაც ავლენენ. მდგრადი განვითარების მიზნების ეროვნულ დონეზე გადაჭრა და საბოლოო პოზიტიური ეფექტების მიღწევა მჭიდრო კავშირშია ლოკალურ დონეზე (მუნიციპალიტეტი, თვითმმართველი ქალაქი) რიგი ამოცანების შესრულებასთან. ეს გათვალისწინებულია მდგრადი განვითარების მიზნების ეროვნულ დოკუმენტებში. ნაშრომი განიხილავს საქართველოში არსებულ იმ ძირითად გამოწვევებს, რომლებსაც აწყდებიან ქალაქის აქტორები SDG-ების განხორციელებისას.

საკვანძო სიტყვები: მდგრადი განვითარება; ქალაქი; ლოკალიზაცია; მიზანი; ამოცანა.
JEL: O2, R00.
DOI: 10.52244/c.2024.11.17

შესავალი

თანამედროვე პირობებში საქართველოს ეკონომიკის მნიშვნელოვან გამოწვევად რჩება განვითარების ტემპების დაჩქარება. აღნიშნული მოითხოვს ქვეყნის ტერიტორიების ინკლუზიურ ჩართვას განვითარების პროცესში და მათი ინფრასტრუქტურის განვითარებას. ინოვაციური განვითარების საფუძვლების შექმნაში მნიშვნელოვან როლს ასრულებენ ქალაქები, როგორც რესურსების აღწარმოების სპეციალიზებული სისტემები.

თითქმის ორი ათეული წელია, რაც მსოფლიოს ქალაქებში მცხოვრები მოსახლეობის რიცხოვნობამ სოფელში მცხოვრებთა რიცხოვნობას გადააჭარბა, რამაც სათავე დაუდო „საქალაქო ათასწლეულს“. ქალაქები სამართლიანად ითვლებიან იდეების, ვაჭრობის, კულტურის, მეცნიერების, მეწარმეობის, სოციალურ, ადამიანური რესურსების და ეკონომიკური განვითარების ცენტრებად. ამასთან, უახლოეს ათწლეულებში ურბანიზაციის 95%-ს განაპიროებებს განვითარებადი ქვეყნების ქალაქები (Sustainable cities and human…)

ქალაქების დაგეგმვა, სატრანსპორტო სისტემები, წყალმომარაგება, სანიტარული მდგომარეობა, ნარჩენების მართვა, უბედური შემთხვევების რისკის შემცირება, ინფორმაციაზე წვდომა და განათლება - ეს საკითხები მჭიდროდ უკავშირდება ქალაქების განვითარებას.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურმა ასამბლეამ 2015 წელს რეზოლუცია „ჩვენი სამყაროს გარდაქმნა: 2030 წლის დღის წესრიგი მდგრადი განვითარებისთვის“, რომლის განუყოფელი ნაწილი გახდა მდგრადი განვითარების 17 მიზანი და 169 ამოცანა. 2017 წლის 6 ივლისს კი გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის რეზოლუციით (A/RES/71/313) დადგინდა მდგრადი განვითარების მიზნების ინდიკატორთა ჩამონათვალი.

მდგრადი განვითარების მიზნები მსოფლიოს გარშემო აერთიანებს ქვეყნების ხელისუფლებებსა და მოსახლეობას შემდეგი ამოცანების გადასაწყვეტად:

- სიღარიბისა და შიმშილის აღმოფხვრა;
- ჯანდაცვისა და განათლების სისტემის გაუმჯობესება;
- თანასწორობის ხელშეწყობა;
- ქალაქების მდგრადობა;
- კლიმატის ცვლილებების წინააღმდეგ ბრძოლა;
- ოკეანეებისა და ტყეების დაცვა;
- ყველა დონეზე ეფექტიანი, ანგარიშვალდებული და ინკლუზიური ინსტიტუციების მშენებლობა (UN, Global indicator...).

მდგრადი განვითარების გლობალური გამოწვევები და საქართველო

გლობალურ პრობლემებს განსაკუთრებული ყურადღება მიექცა გასული საუკუნის 50-ნი წლებიდან. დღეისათვის ისინი უკვე დიდ გავლენას ახდენენ როგორც ეროვნულ, ისე მსოფლიო ეკონომკაზე და მნიშვნელოვნად განსაზღვრავენ მდგრადი განვითარების პერსპექტივებს. გლობალურ პრობლემებად მდგრადი განვითარებისა უნდა მივიჩნიოთ დიდი მასშტაბის მქონე პრობლემები, რომელთა გადაჭრა შესაძლებტლია მხოლოდ ქვეყნების ერთობლივი მოქმედებით (აბესაძე, 2017).

გაეროს მდგრადი განვითარების მიზნები წარმოადგენს ათასწლეულის განვითარების მიზნების გაგრძელებას, რომელთა შესრულების ვადა 2000-2015 წლების პერიოდს მოიცავდა. 2015 წელს, ამ მიზნების შესრულების ვადის დასასრულს, გაეროს ათასწლეულის მიზნები გარდაიქმნა უფრო ყოვლისმომცველ – მდგრადი განვითარების მიზნებად.

ნახაზი 1

მდგრადი განვითარების მიზნები

წყარო: გაერო საქართველო, https://georgia.un.org/ka/sdgs

ცხრილი 1

მდგრადი განვითარების მიზნები და კომპონენტები

მდგრადი განვითარების კომპონენტები	მდგრადი განვითარების მიზნები	
	გლობალურ დონეზე	ლოკალურ დონეზე
ეკონომიკური	2, 7, 8, 9, 10, 11, 12, 13, 17	6, 7, 9, 11, 12, 16
სოციალური	1, 2, 3, 4, 5, 10, 11, 12, 16, 17	1, 2, 3, 4, 6, 8, 11, 16
ეკოლოგიური	6, 7, 11, 12, 13, 14, 15, 17	12, 13, 16

მდგრადი განვითარების მიზნების 2024 წლის ანგარიშში ხაზგასმულია, რომ 17 მიზნის თითქმის ნახევარი მინიმალურ ან ზომიერ პროგრესს განიცდის, ხოლო ერთი მესამედის შესრულების თვალსაზრისით სტაგნაცია შეინიშნება ან მდგომარეობა გაუარესებულია მას შემდეგ, რაც 2015 წელს გაეროს წევრმა სახელმწიფოებმა აღნიშნული მიზნები დაამტკიცეს ადამიანებისა და პლანეტისთვის მშვიდობისა და კეთილდღეობის უზრუნველსაყოფად. ანგარიშში პროგრესის მიღწევის მთავარ დამაბრკოლებელ მიზეზებად მოხსენიებულია კოვიდ-19 პანდემიის ზეგავლენა, კონფლიქტების გამწვავება, გეოპოლოტიკური დაძაბულობები და კლიმატის გაუარესება. (SDG report, 2024)

ცხრილი 2

ყველაზე მდგრადი ქალაქები (2023 წელი)

ადგილი რანჟირების მიხედვით	ქალაქი	ადგილი რანჟირების მიხედვით	ქალაქი
1	სტოკჰოლმი	8	ბერლინი
2	ოსლო	13	მადრიდი
3	კოპენჰაგენი	16	პარიზი
4	ლაჰტი	25	ამსტერდამი
5	ლონდონი	42	სტამბული

წყარო: www.corporateknights.com

2015 წელს საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციამ მდგრადი განვითარების მიზნების ნაციონალიზაციის პროცესის ხელმძღვანელობა და კოორდინაცია ჩაიბარა. ხანგრძლივი კონსულტაციების შედეგად, ქვეყნის გამოწვევებისა და ეროვნული კონტექსტის გათვალისწინებით, მდგრადი განვითარების 17-ვე მიზანი და 93 ამოცანა განისაზღვრა ეროვნულ პრიორიტეტად. ნაციონალიზაციის პროცესში ჩართული იყო ყველა შესაბამისი სამთავრობო უწყება, საქართველოში გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სააგენტოები და სამოქალაქო საზოგადოება. (IDFI, 2021)

მდგრადი განვითარების მიზნების განხორციელების მაკოორდინირებელ უწყებად საქართველოს მთავრობის ადმინისტრაცია განისაზღვრა. საწყის ეტაპზე, მთავრობის ადმინისტრაციამ სხვადასხვა დარგობრივი სამინისტროს ექსპერტებთან ერთად ტექნიკური სამუშაო ჯგუფი შექმნა, რომელსაც იმ მიზნებისა და ამოცანების განსაზღვრა დაევალა, რაც მოცემული მომენტისთვის ქვეყნის პრიორიტეტს წარმოადგენდა. ქვეყნის გამოწვევებისა და ეროვნული კონტექსტის გათვალისწინებით, გაეროს მდგრადი განვითარების 17-ვე მიზანი და 93 ამოცანა ეროვნულ პრიორიტეტად განისაზღვრა.

საბჭოს მანდატის ქვეშ ფუნქციონირებს ოთხი თემატური სამუშაო ჯგუფი: დემოკრატიული მმართველობის სამუშაო ჯგუფი; სოციალური ჩართულობის სამუშაო ჯგუფი; ეკონომიკური განვითარების სამუშაო ჯგუფი და მდგრადი ენერგეტიკის და გარემოს დაცვის სამუშაო ჯგუფი.

2020 წელს მიიღეს მნიშვნელოვანი დოკუმენტი - საქართველომ გააფორმა „გაეროს მდგრადი განვითარების თანამშრომლობის ხელშეკრულება (2021-2025)“, რომლის მიხედვით საქართველოს მთავრობამ და გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ აიღეს ვალდებულება, ერთობლივად იმუშაონ ეროვნული განვითარების პრიორიტეტების, მდგრადი განვითარების მიზნებისა და სხვა საერთაშორისო დონეზე შეთანხმებული კონვენციებით ნაკისრი ვალდებულებების მისაღწევად (ხელშეკრულება, 2020).

კომპლექსურობის გათვალისწინებით, სამთავრობო, არასამთავრობო, კერძო, აკადემიური და საერთაშორისო ორგანიზაციებისა და სსიპ – საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მჭიდრო თანამშრომლობისა და აქტიური მუშაობის შედეგად, თითოეული სექტორული ამოცანის შესრულება გაიწერა დროში და დადგინდა 201 ინდიკატორის საბაზისო და სამიზნე მაჩვენებლები 2030 წლისთვის (ეროვნული დოკუმენტი...).

საქართველომ ხელი მოაწერა ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულებას, ამ გაერთიანებაში პოლიტიკური ასოცირების და ეკონომიკური ინტეგრირების ხელშეწყობის მიზნით. ხელშეკრულება ითვალისწინებს საქართველოს ჩართულობის ზრდას ევროკავშირის სტრატეგიებში, პროგრამებსა და ორგანიზაციებში. ასოცირების შეთანხმების 301-ე პარაგრაფის თანახმად, მხარეები თავიანთ ურთიერთობებს ააგებენ და გააძლიერებენ, მდგრადი განვითარებისა და მწვანე ეკონომიკის გრძელვადიანი მიზნების გათვალისწინებით. ამასთანავე, მდგრადი განვითარების პრინციპების უპირატესობები და მწვანე ეკონომიკის განვითარების ხელშეწყობა აღნიშნულია საქართველო სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგიაში „საქართველო 2020“ (ეკონომიკის სამინისტრო...).

ბოლო მონაცემებით საქართველომ 74,91 ქულით 166 შეფასებული ქვეყნიდან 43-ე ადგილი დაიკავა 17 SDG-ის მიღწევისკენ მთლიანი პროგრესის მიხედვით. რაც შეეხება ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ და ეკოლოგიურ გავლენის შეფასებას სხვა ქვეყნებზე,

საქართველომ 88,16 ქულით, 166 შეფასებული ქვეყნიდან 96-ე ადგილი დაიკავა საერთაშორისო რეიტინგში (SDG Transformation Center, 2024).

მდგრადი განვითარების ლოკალიზაცია საქართველოში - ქუთაისის შემთხვევა

მდგრადი განვითარების მიზნების ეროვნულ დონეზე გადაჭრა და საბოლოო პოზიტიური ეფექტების მიღწევა მჭიდრო კავშირშია ლოკალურ დონეზე (მუნიციპალიტეტი, თვითმმართველი ქალაქი) რიგი ამოცანების შესრულებასთან. ეს გაითვალისწინა მდგრადი განვითარების მიზნების ეროვნულმა დოკუმენტმა. კერძოდ, მე-11 მიზანი არის „ქალაქებისა და დასახლებების ინკლუზიური, უსაფრთხო და მდგრადი განვითარება“.

ცხრილი 3

მდგრადი განვითარების მე-11 მიზნის ამოცანები

	გლობალური ამოცანა	საქართველოსთვის მისადაგებული ამოცანა
1	2030 წლისთვის ყველასთვის ადექვატური, უსაფრთხო და ხელმისაწვდომი საცხოვრისისა და ძირითადი სერვისების უზრუნველყოფა და მჭიდრო ღარიბი საცხოვრისების (ბარაკების) განახლება	საქართველოში იძულებით გადაადგილებულ პირთათვის უსაფრთხო საცხოვრებელი პირობების უზრუნველყოფა
2	2030 წლისთვის დიდ ქალაქებში მოსახლეობის ერთ სულზე გარემოზე უარყოფითი ზემოქმედების შემცირება, მათ შორის, ჰაერის ხარისხისთვის და მუნიციპალური და სხვა ნარჩენების მართვის საკითხებზე განსაკუთრებული ყურადღების დათმობით	2030 წლისთვის დიდ ქალაქებში მოსახლეობის ერთ სულზე გარემოზე უარყოფითი ზემოქმედების შემცირება, მათ შორის ჰაერის ხარისხისთვის და მუნიციპალური და სხვა ნარჩენების მართვის საკითხებზე განსაკუთრებული ყურადღების დათმობით

წყარო: მდგრადი განვითარების მიზნების ეროვნული დოკუმენტი

მდგრადი განვითარების მიზნების (SDGs) ლოკალიზაციის სამოქმედო გეგმა SDG-ების უწყებათაშორისი საბჭოს მიერ მოწონებულ იქნა 2021 წელს და იმავე წელს დაიწყო გეგმის განხორციელება, რომელიც ითვალისწინების მუნიციპალიტეტების ეტაპობრივ ჩართვას მდგრადი განვითარების მიზნების განხორციელების პროცესში (პრემიერის ბრძანება, 2020). გეგმის ფარგლებში გათვალისწინებულია ყველა მუნიციპალიტეტის ჩართვა 2025 წლის ბოლოსთვის.

ამ პროცესში უმნიშვნელოვანესია ადგილობრივი ხელისუფლების როლი. ლოკალიზების პროცესში გარდა უშუალო მონაწილეობისა, თვითმმართველი ერთეულები თავად განსაზღვრავენ ადგილობრივ დღის წესრიგს, შეიმუშავებენ პრიორიტეტულ პროგრამებს და ჩართულნი არიან მიზნების განხორციელებასა და მათი შესრულების მონიტორინგში. ადგილობრივმა და რეგიონულმა მთავრობებმა კრიტიკულად მნიშვნელოვანი როლი შეასრულეს SDG-ების განსაზღვრისას, წარმატებით წამოიწყეს კამპანია - ქალაქებისა და დასახლებების ინკლუზიური, უსაფრთხო და მდგრადი განვითარება (SDG 11) და ხაზი

გაუსვეს ადგილობრივი და რეგიონალური მთავრობის როლს SDG-ებზე ეროვნული კონსენსუსის მიღწევასა და განხორციელებაში (ტურაშვილი და ნიკურაძე, 2022)

ნახაზი 2

მდგრადი განვითარების მიზნების ლოკალიზების ძირითადი ეტაპები



ბუნებრივია, ადგილობრივი ხელისუფლება უკეთ იცნობს მისი არეალის პრობლემებს. მუნიციპალიტეტები ახორციელებენ ექსკლუზიურ უფლებამოსილებებს, რომელთა განხორციელების ხარისხი პირდაპირ უკავშირდება მოქალაქეების კეთილდღეობას და ცხოვრების დონეს. ამიტომ, სასურველია ადგილობრივმა ხელისუფლებამ შეძლოს დაინტერესებული მხარეების მაღალი ჩართულობა ამ პროცესში და აქტივობების და დაგეგმვის განხორციელებისას ადგილობრივი საჭიროებების/პრიორიტეტების მაქსიმალური გათვალისწინება.

მდგრადი განვითარების მიზნების ლოკალიზებისათვის გამოიყოფა ოთხი ეტაპი (იხ.ნახ. 2) მდგრადი განვითარების მიზნების შესაბამისად, საქართველოს თვითმმართველმა ქალაქებმა ბოლო ორი წლის განმავლობაში გარკვეული ღონისძიებები გაატარეს ლოკალურ დონეზე SDG ცალკეული მიზნების გადასაჭრელად. ბუნებრივია მათი პოტენციალი და მიდგომები ამ მიზნების მიღწევის პროცესში განსხვავებულია.

ცხრილი 4

ქუთაისის მუნიციპალიტეტის ზოგიერთი სტატისტიკური მაჩვენებელი (2022 წელი)

მაჩვენებელი	ზომის ერთეული	სიდიდე
მოსახლეობის რიცხოვნობა	ათასი კაცი	129,3
საშუალო ხელფასი	ლარი	989,4
ფართობი	კვ.კმ	67,7
შობადობის ზოგადი კოეფიციენტი	დაბადებულთა რიცხოვნობა 1000 კაცზე	12,4
დასაქმებულთა რაოდენობა ბიზნეს სექტორში	ათასი კაცი	30,5
აქტიური ეკონომიკური სუბიექტების რაოდენობა	ერთეული	11192

დამატებული ღირებულება	მლნ.ლარი	771,1
ბიუჯეტიდან სოციალური და ჯანმრთელობის დაცვის დაფინანსება	მლნ.ლარი	6,5
ბიუჯეტიდან სკოლამდელი აღზრდის ფადინანსება	მლნ.ლარი	14,5
ბიუჯეტიდან გარემოს დაცვის დაფინანსება	მლნ.ლარი	8,7
ბიუჯეტიდან ინფრასტრუქტურის და ეკონომიკური განვითარების დაფინანსება	მლნ.ლარი	25,8

წყარო: ქუთაისის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტი (თავდაპირველი ვარიანტი)

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტში მომზადდა „მდგრადი განვითარების მიზნების ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის დოკუმენტი“, რომელიც 2023 წლის ივნისში მოიწონა და დაამტკიცა საკრებულომ (საკრებულოს განკარგულება...). მისი აღსრულების, მონიტორინგისა და ანგარიშგების წარმოებისათვის შეიქმნა მდგრადი განვითარების მიზნების ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი საბჭო, რომელიც დაკომპლექტდა მრავალსექტორული წარმომადგენლობით (მერის ბრძანება...).

მუნიციპალიტეტის მდგრადი განვითარების მიზნები დაკავშირებულია ქუთაისის ადგილობრივი ბიუჯეტის პროგრამებთან და ქვეპროგრამებთან, იდენტიფიცირებულია მუნიციპალური სამსახურები და ორგანიზაციები SDG დანერგვის, განხორციელების, მონიტორინგის და ანგარიშგების მიზნით.

SDG ქუთაისის მუნიციპალიტეტის დოკუმენტი ფარავს ისეთ საკითხებს, როგორიცაა:

- ✓ ადგილობრივი ხელისუფლების ჩართულობა მდგრადი განვითარების მიზნების განხორციელების მექანიზმებში;
- ✓ მუნიციპალური სტრუქტურების იდენტიფიცირება ადგილობრივ დონეზე მდგრადი განვითარების მიზნების (SDG) დანერგვისა და განხორციელების მიზნით;
- ✓ კავშირების დადგენა მუნიციპალიტეტის პროგრამულ ბიუჯეტსა და მდგრადი განვითარების მიზნების განხორციელებისთვის საჭირო ბიუჯეტებს შორის.
- ✓ ქუთაისის მუნიციპალიტეტის წინაშე არსებული გამოწვევებისა და თვითმმართველი ერთეულის კონტექსტის გათვალისწინებით, გაეროს მდგრადი განვითარების 12 მიზანი და 29 ამოცანა განისაზღვრა ქუთაისის მუნიციპალურ პრიორიტეტად. მდგრადი განვითარების მიზნების ადგილობრივ დონეზე დანერგვის პროცესში ჩართული იყო ქალაქის მერიის ყველა შესაბამისი სამსახური, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულო და სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლები.

ნახაზი 3

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტში SDG ლოკალიზების პროცესი



მიზნების დანერგვისა და მათი შესრულების მონიტორინგის ხელშეწყობის მიზნით, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიაში შეიმნა მდგრადი განვითარების მიზნების ადგილობრივი საბჭო, რომელსაც ხელმძღვანელობს ქალაქის მერი.

ნახაზი 4

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტში SDG მონიტორინგის და ანგარიშგების მექანიზმები



საბჭოს ექვემდებარება 3 თემატური სამუშაო ჯგუფი: ჯანდაცვა და სოციალური ჩართულობა; ინფრასტრუქტურა და ეკონომიკური განვითარება; გარემოს დაცვა. მათ მუშაობას, ანალიტიკურ და ტექნიკურ მხარდაჭერას უწევს მერიის ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახური. საბჭოსა და სამუშაო ჯგუფების მუშაობაში ჩართულია ყველა დაინტერესებული მხარე საჯარო, სამოქალაქო და კერძო სექტორებიდან.
2023 წლის შედეგებით მუნიციპალიტეტის დონეზე განსაზღვულია 49 ინდიკატორი, 29 ამოცანა და 12 მიზანი (იხ.ნახ. 4)

ნახაზი 5

ლოკალიზებული SDG მიზნები, ამოცანები, ინდიკატორები



მიზნების შესრულების დროის მოკლე დიაპაზონიდან გამომდინარე, სამიზნე ინდიკატორებში სტატუსის მიხედვით ჭარბობს მიმდინარე მიზნები ყველა კომპონენტის მიხედვით (იხ.ნახ. 5).

ცხრილი 5

სამიზნე ინდიკატორების სტატუსი ქუთაისის მუნიციპალიტეტში
(2023 წლის შედეგებით)

სტატუსი/ მდგომარეობა	მდგრადი განვითარების კომპონენტები		
	სოციალური	ეკონომიკა/ ინფრასტრუქტურა	გარემოს დაცვა
არ დაწყებულა	2	0	0
მიმდინარე/პროგრესი	41	22	8
განხორციელდა/მაღალი პროგრესი	0	1	0

ნიშანდობლივია, არსებობს SDG ქუთაისის მუნიციპალიტეტის დოკუმენტის ყოველწლიური მონიტორინგის და ანგარიშგების სისტემა, რომელიც საშუალებას იძლევა გამოვლინდეს არსებული გამოწვევები, შემუშავდეს მათი დაძლევის გზები და დაჩქარდეს გლობალური მდგრადი განვითარების მიზნების ლოკალურ დონეზე განხორციელება.

დასკვნები

სხვადასხვა სტრატეგიული და პროგრამული დოკუმენტების მომზადებისას, სამოქმედო გეგმების, კონცეფციების და პრიორიტეტების შემუშავებისას, მუნიციპალიტეტმა უნდა უზრუნველყოს მდგრადი განვითარების მიზნების ინტეგრირება. გამოცდილებამ გვიჩვენა, რომ საჭიროა გაეროს მდგრადი განვითარების დღის წესრიგის შესახებ ცნობიერების ამაღლება, მისი მიზნების ადგილობრივ დონეზე დანერგვის, მონიტორინგისა და ანგარიშგების მექანიზმების შესახებ მაქსიმალური ინფორმირება. სასურველია SDG ეროვნულ საბჭოში გააქტიურდეს ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლების ჩართულობა (გადაწყვეტილებს მიღება და სამუშაო ჯგუფებში რეალური მონაწილეობა). ბიუჯეტის დაგეგმვის პროცესში, მ.შ. ცალკეული პროგრამების შემუშავებისას, აუცილებელია ყველა ინდიკატორის გათვალისწინება, რომელიც ზომავს SDG-ების მიღწევას. მიზნის მისაღწევად განხორციელების პროცესს სჭირდება შესაბამისი ფინანსური რესურსები, რაც მუნიციპალიტეტმა ბიუჯეტის შედგენისას უნდა გაითვალისწინოს.

გამოყენებული ლიტერატურა

Global indicator framework for the Sustainable Development Goals and targets of the 2030 Agenda for Sustainable Development. UN, Sustainable Development Goals. URL:https://unstats.un.org/sdgs/indicators/indicators-list/

Iveson D., (2023) The hunt for the world's most sustainable cities. Corporate Knights. URL: https://www.corporateknights.com/issues/2023-04-spring-issue/sustainable-cities-index-2023/#rankings

SDG Transformation Center. Sustainable Development. Report.

Sustainable cities and human settlements. UN, Department of Economic and Social Affairs Sustainable Development. URL:https://sdgs.un.org/topics/sustainable-cities-and-human-settlements

The Sustainable Development Goals Report 2024. UN, 2024. URL:https://unstats.un.org/sdgs/report/2024/

URL: https://dashboards.sdgindex.org/profiles/georgia

URL:http://kutaisi.gov.ge/public/files/1687263720_%E1%83%9B%E1%83%93%E1%83%92%E1%83%A0%E1%83%90%E1%83%93%E1%83%98%20%E1%83%92%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%95%E1%83%98%E1%83%97%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%94%E1%83%91%E1%8

3%98%E1%83%A1%20%E1%83%9B%E1%83%98%E1%83%96%E1%83%9C%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98%E1%83%A1%20%E1%83%93%E1%83%9D%E1%83%99%E1%83%A3%E1%83%9B%E1%83%94%E1%83%9C%E1%83%A2%E1%83%98%20(1).pdf

აბესაძე რ., (2017) მდგრადი განვითარების თანამედროვე გლობალური ტენდენციები და პრობლემები. პ.გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტი. ინტერნეტკონფერენციის მასალები.
URL:http://www.conferenceconomics.tsu.ge/?mcat=0&cat=arq&leng=ge&arq=2&arqdata=2017-12-28

გაეროს მდგრადი განვითარების თანამშრომლობის ხელშეკრულება (2021-2025).
URL:https://georgia.un.org/sites/default/files/2021-04/GEORGIA-UNSDCF-%202021-2025_%2025-12.pdf

გამთენაძე ზ., (2022) მდგრადი განვითარების მიზნების ანალიზი საქართველოს რეგიონებში. ჟურნ. „ეკონმომიკა“, ტ. 105. N6-8.

ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი (IDFI). მდგრადი განვითარების ანგარიში 2021: მიმოხილვა და საქართველოს შედეგები. URL:https://idfi.ge/ge/sdg-report-2021-georgia-results

მდგრადი განვითარების მიზნები. საქართველო. https://sdg.gov.ge/main

მდგრადი განვითარების მიზნების ეროვნული დოკუმენტი https://sdg.gov.ge/text-page/34

საქართველოს ეკონომიკის და მდგრადი განვითარების სამინისტრო.
URL:https://www.economy.ge/?page=ecopolitic&s=43

საქართველოს პრემიერ–მინისტრის 2020 წლის 23 იანვრის №14 ბრძანება „მდგრადი განვითარების მიზნების უწყებათაშორისი საბჭოს დებულების დამტკიცების შესახებ“.

ტურაშვილი თ., ნიკურაძე გ. (2022) მდგრადი განვითარების მიზნების ლოკალიზების პრაქტიკული სახელმძღვანელო.
URL:https://idfi.ge/public/upload/Handbook/practical_handbook_for_the_localization_of_sustainable_development_goals-%20GEO.pdf

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულება (№204, 28.06.2023) „მდგრადი განვითარების მიზნების ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის დოკუმენტის მოწონების შესახებ“.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის ბრძანება „მდგრადი განვითარების მიზნების ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი საბჭოს შექმნის შესახებ“ (№44. 442319915, 18.07.2023)

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილება (N5, 29.12.2021) ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ.
URL:https://matsne.gov.ge/document/view/5315614?publication=0

Challenges of sustainable development in Georgian cities (case of Kutaisi)

Niko Chikhladze
Doctor of Economic Sciences, Professor
Akaki Tsereteli State University, Kutaisi University

Nana Rusadze
Doctor of Public Administration, Associate Professor
Akaki Tsereteli State University

Abstract
Solving the sustainable development goals at the national level and achieving the final positive effects are closely related to the performance of a number of tasks at the local level. This is provided for in the national documents of sustainable development goals. When preparing various strategic and programmatic documents, developing action plans, concepts and priorities, the municipality should ensure the integration of sustainable development goals. Experience has shown us that it is necessary to raise awareness about the UN Sustainable Development Agenda, to be maximally aware of the mechanisms of implementation, monitoring and reporting of its goals at the local level. It is desirable to activate the involvement of local self-government representatives in the SDG National Council (making decisions and real participation in working groups). In the process of budget planning and the development of individual programs, it is necessary to take into account all the indicators that measure the achievement of the SDGs. To achieve the goal, the implementation process needs appropriate financial resources, which the municipality should take into account when drawing up the budget.

Keywords: Sustainable Development; City; Localization; Purpose; Task.
JEL: O2, R00.
DOI: 10.52244/c.2024.11.17

References:

Abesadze R., (2017) Modern global trends and problems of sustainable development. P. Gugushvili Institute of Economics. Internet conference materials.
URL:http://www.conferenceconomics.tsu.ge/?mcat=0&cat=arq&leng=ge&arq=2&arqdata=2017-12-28

Decree of the City Council of the City of Kutaisi Municipality (No. 204, 28.06.2023) "On the Approval of the Document of SDG of the City of Kutaisi Municipality".
URL:http://kutaisi.gov.ge/public/files/1687263720_%E1%83%9B%E1%83%93%E1%83%92%E1%83%A0%E1%83%90%E1%83%93%E1%83%98%20%E1%83%92%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%95%E1%83%98%E1%83%97%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98%E1%83%A1%20%E1%83%9B%E1%83%98%E1%83%96%E1%83%9C%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98%E1%83%A1%20%E1%83%93%E1%83%9D%E1%83%99%E1%83%A3%E1%83%9B%E1%83%94%E1%83%9C%E1%83%A2%E1%83%98%20(1).pdf

Gamtenadze Z., (2022) Analysis of SDG in the regions of Georgia. "Economics", Vol. 105. N6-8.

Global indicator framework for the Sustainable Development Goals and targets of the 2030 Agenda for Sustainable Development. UN, Sustainable Development Goals. URL:https://unstats.un.org/sdgs/indicators/indicators-list/

Iveson D., (2023) The hunt for the world's most sustainable cities. Corporate Knights. URL: https://www.corporateknights.com/issues/2023-04-spring-issue/sustainable-cities-index-2023/#rankings

Ministry of economy and sustainable development of Georgia. URL:https://www.economy.ge/?page=ecopolitic&s=43

National document of Sustainable Development Goals. https://sdg.gov.ge/text-page/34

Order of the Mayor of Kutaisi Municipality on "Creation of the Local Council of Kutaisi Municipality for Sustainable Development Goals" (Nb44. 442319915, 18.07.2023)

Order of the Prime Minister of Georgia dated January 23, 2020 (No. 14) "On approval of the regulations of the Interagency Council for Sustainable Development Goals".

Resolution of the City Council of Kutaisi Municipality (N5, 29.12.2021) on approving the 2022 budget of Kutaisi Municipality. URL:https://matsne.gov.ge/document/view/5315614?publication=0

SDG Transformation Center. Sustainable Development. Report. URL: https://dashboards.sdgindex.org/profiles/georgia

Sustainable cities and human settlements. UN, Department of Economic and Social Affairs Sustainable Development. URL:https://sdgs.un.org/topics/sustainable-cities-and-human-settlements

Sustainable Development Goals. Georgia. https://sdg.gov.ge/main

Sustainable Development Report 2021: Overview and Results for Georgia. IDFI. URL:https://idfi.ge/ge/sdg-report-2021-georgia-results

The Sustainable Development Goals Report 2024. UN, 2024. URL:https://unstats.un.org/sdgs/report/2024/

Turashvili T., Nikuradze G. (2022) A Practical Guide to Localizing the Sustainable Development Goals. URL:https://idfi.ge/public/upload/Handbook/practical_handbook_for_the_localization_of_sustainable_development_goals-%20GEO.pdf

United Nations Sustainable Development Cooperation Agreement (2021-2025). URL:https://georgia.un.org/sites/default/files/2021-04/GEORGIA-UNSDCF-%202021-2025_%2025-12.pdf